# სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ანგარიში

## 2014 წელი

### 8 თებერვალი - წმ. მეფე დავით აღმაშენებლის დღისადმი მიძღვნილი ინტელექტუალური თამაში

სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით 2014 წლის 8 თებერვალს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა წმ. მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი " რა? სად? როდის? " ტიპის ინტელექტუალური თამაში, რომლის მხარდამჭერებიც იყვნენ ნიკო ბერძენიშვილის სახელობის კვლევითი ინსტიტუტი, ბათუმის და ლაზეთის ეპარქია, ბოტანიკური ბაღი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერის და მომსახურების სამსახური და სტუდენტური თვითმმართველობა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ბათუმის 26 საჯარო და კერძო სკოლის 110 ზე მეტი მოსწავლემ. კომპეტენტური ჟიურის შეფასებით I ადგილი მეცხრე საჯარო სკოლის გუნდს „ მამულიშვილნი " ერგო, II ადგილი შ. პ. ს. მასტერკლასის გუნდმა „ მასტერკლასმა " მოიპოვა, ხოლო III ადგილი სამმა გუნდმა გაიყო.
გამარჯვებულებს მხარდამჭერებისგან გადაეცათ წიგნები, ხატები და სხვა სამახსოვრო საჩუქრები.

### 25 თებერვალი - საბჭოთა ოკუპაციის დღე

სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის და ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ორგანიზებით 2014 წლის 25 თებერვალს გაიმართა საბჭოთა ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი ღია ლექცია. ლექციას გაუძღვა პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი. ლექციის შემდგომ გაიმართა დისკუსია.

## 21 მარტი - ტყის დაცვის საერთაშორისო დღე

ტყის დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის და აგრარული მიმართულების 50 სტუდენტს უმასპინძლა, სადაც მათ ჩაუტარდათ ტრენინგი.

აღნიშნული ღონისძიების ერთ-ერთ მხარდამჭერს წარმოადგენდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი.

## 16 მარტი - 22 მარტი - „ფრანკოფონია 2014“

16.03.2014 – 22.03.2014 პერიოდში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სკოლა „ევრო 2000“-ის ერთობლივი პროექტის საფუძველზე გაიმართა „ფრანკოპონია 2014“, პროექტის მიზანია ფრანგული ენისა და კულტურის პოპულარიზაცია აჭარაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოპულარიზაცია. პროექტში მონაწილეობდა ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, ქ. ბათუმის საჯარო და კერძო სკოლების VIII, IX, X, XI, XII კლასის მოსწავლეები, აჭარის განათლების ფონდის ფრანგული ჯგუფების მსმენელები.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა რეგიონალური კონკურსი ფრანგულ ენაში (ტესტირება), კონფერენცია თემაზე „ საფრანგეთის კულტურა, ისტორია და ცივილიზაცია “, პრეზენტაცია ფრანგულენოვან ქვეყნებში სტაჟირების შესახებ - „ევროდისეა“, ფრანგული ფილმების ჩვენება.

აღნიშნული პროექტის ერთ-ერთ მხარდამჭერს წარმოადგენდა სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი.

## 9 აპრილი - 1989 წლის 9 აპრილი

9 აპრილს ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტში გაიმართა 1989 წლის 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. გაიმართა კონფერენცია თემაზე „9 აპრილი-სისხლით დამძიმებული თავისუფლება “, ასევე ტრაგიკული მოვლენების ამსახველი ფოტოების ჩვენება. დაღუპული გმირების ხსოვნის უკვდავსაყოფად სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა დაანთეს სანთლები, ზღვისპირა პარკში გაუშვეს მანათობელი ფრანები და მემორიალი შეამკეს ტიტებით.

აღნიშნული ღონისძიების ერთ-ერთ მხარდამჭერს წარმოადგენდა სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი.

## 18 აპრილი - ძეგლთა და ისტორიულ ადგილთა დაცვის საერთაშორისო დღე

ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ესეების კონკურსი, რომლშიც მონაწილეობა მიიღო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და ქ. ბათუმის კერძო და საჯარო სკოლის უფროსკლასელებმა. ღონისძიების მიზანი იყო ახალგაზრდებში კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია და ცნობიერების ამაღლება.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრობლემებზე წარმოდგენილ 30 ესეს შორის კომპეტენტურმა ჟიურმა 7 გამარჯვებული გამოავლინა, რომელთაც მხარდამჭერებისგან გადაეცათ საჩუქრები და ისინი გაემგზავრებიან ერთდღიანი შემეცნებითი ტურით სამცხე-ჯავახეთში, სადაც მოინახულებენ ვარძიას და რაბათის ციხეს.

ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ: ა. ა. რ. კულტურული მემკვიდრეობის და ძეგლთა დაცვის სააგენტო, ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა მომსახურების და მხარდაჭერის სამსახური და სტუდენტური თვითმმართველობა.

## 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

2014 წლის 22 მაისს სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის და ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია. გაიმართა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისადმი  მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო  კონფერენცია. ისტორიის სპეციალობის II კურსის სტუდენტებმა წარმოადგინეს სამეცნიერო მოხსენებები 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე. დეპარტამენტიდან სამეცნიერო თემებს უხელმძღვანელა პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა.

## რეფერატულ ნაშრომთა კონკურსი

5- 9 მაისის ჩათვლით ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტში გაიმართა რეფერატულ ნაშრომთა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჩვენივე უნივერსიტეტის 120 -მდე პირველკურსელმა. შედეგები განისაზღვრა შემდეგნაირად:

### საერთაშორისო ურთიერთობების და ევროპისმცოდნეობს სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 10

მონაწილეობა მიიღო: 9

### მენეჯმენტის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 8

მონაწილეობა მიიღო: 8

### ისტორიის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 4

მონაწილეობა მიიღო: 3

### ფილოსოფიის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 8

მონაწილეობა მიიღო: 5

### ფსიქოლოგიის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 6

მონაწილეობა მიიღო: 5

**აგროეკოლოგიის სექცია**

რეგისტრაცია გაიარა: 7

მონაწილეობა მიიღო:  4

**ეკოლოგიის სექცია**

რეგისტრაცია გაიარა: 12

მონაწილეობა მიიღო:  6

**სამართალმცოდნეობის სექცია**

რეგისტრაცია გაიარა: 8

მონაწილეობა მიიღო: 2

**რუსული ფილოლოგიის სექცია**

რეგისტრაცია გაიარა: 5

მონაწილეობა მიიღო:  3

**ტექნოლოგიურის სექცია**

რეგისტრაცია გაიარა: 7

მონაწილეობა მიიღო: 3

**გეოგრაფიის სექცია**

რეგისტრაცია გაიარა: 13

მონაწილეობა მიიღო: 12

## ინგლისური ფილოლოგიის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 6

მონაწილეობა მიიღო: 5

## აგრონომიის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 5

მონაწილეობა მიიღო: 4

## ფინანსების სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 9

მონაწილეობა მიიღო: 4

## თურქეთისმცდონეობის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 3

მონაწილეობა მიიღო: 3

## ქიმიის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 5

მონაწილეობა მიიღო: 5

## სტუდენტთა საუნივერსიტეტო კონფერენცია

19-26 მაისის ჩათვლით ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტთა საუნივერსიტეტო კონფერენცია , რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჩვენივე უნივერსიტეტის II, III, IV კურსის სტუდენტებმა და ამავდროულად რეფერატულ ნაშრომთა კონკურსში გამარჯვებულმა I კურსელებმა. ღონისძიებაში ჩაერთო უნივერსიტეტის 200-მდე სტუდენტი შედეგები განისაზღვრა შემდეგნაირად:

### ფინანსების სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 7

მონაწილეობა მიიღო: 7

### ფსიქოლოგიის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 4

მონაწილეობა მიიღო: 1

### გეოგრაფიის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 10

მონაწილეობა მიიღო: 10

### თურქეთისმცოდნეობის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 8

მონაწილეობა მიიღო: 8

### ისტორიის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 13

მონაწილეობა მიიღო: 13

აგრონომიის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 5

მონაწილეობა მიიღო: 4

აგროეკოლოგიის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 4

მონაწილეობა მიიღო: 3

ფილოსოფიის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 8

მონაწილეობა მიიღო: 7

რუსული ფილოლოგიის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 9

მონაწილეობა მიიღო: 6

ინგლისური ფილოლოგიის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 7

მონაწილეობა მიიღო: 5

ქართული ფილოლოგიის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 8

მონაწილეობა მიიღო: 7

ქიმიის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 5

მონაწილეობა მიიღო: 5

მენეჯმენტის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 4

მონაწილეობა მიიღო: 2

საერთაშორისო ურთიერთობების და ევროპისმცოდნეობის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 11

მონაწილეობა მიიღო: 11

სამართალმცოდნეობის სექცია (საჯარო სამართალი)

რეგისტრაცია გაიარა: 15

მონაწილეობა მიიღო: 10

სამართალმცოდნეობის სექცია (სისხლის სამართალი)

რეგისტრაცია გაიარა: 8

მონაწილეობა მიიღო: 8

ბიოლოგიის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 8

მონაწილეობა მიიღო: 8

### ეკოლოგიის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 10

მონაწილეობა მიიღო: 10

### ტურიზმის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 13

მონაწილეობა მიიღო: 13

### ფიზიკა,მათემატიკა,კომპიუტინგის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 10

მონაწილეობა მიიღო: 8

### ტურიზმის სექცია

რეგისტრაცია გაიარა: 8

მონაწილეობა მიიღო: 8

**სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის**

**ხელმძღვანელი:** **გ. თურმანიძე**